კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
PhD Program in Business Administration	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
დოქტორანტურა	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
უმაღლესი	
სწავლების ენა	
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენებზე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ინლისურად:	PhD in Business Administration
პროგრამის ხელმძღვანელი	კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი პაატა ბრეკაშვილი.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს. სემესტრების მიხედვით კრედიტების ნაწილდება შემდეგნაირად: I სემესტრი - 14 ECTS კრედიტი, II სემესტრი - 12 ECTS კრედიტი, III სემესტრი - 12 ECTS კრედიტი, IV სემესტრი - 12 ECTS კრედიტი, V სემესტრი - 10 ECTS კრედიტი, VI-VIII სემესტრები - 120 ECTS კრედიტი.

პროგრამის ოპტიმალური ვადა შეადგენს 4 წელს. პროგრამის მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 17-17 კალენდარულ კვირას. შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 34 კვირაზე.
1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, გამოკითხვა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტებს (60 ECTS კრედიტი). სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგნეს 38 კრედიტს. სავალდებულო კურსების გარდა, პროგრამა სტუდენტს სთავაზობს 4 არჩევით საგანს 24 კრედიტის მოცულობით. 4 არჩევითი საგნიდან სტუდენტმა უნდა გაიაროს 2 საგანი ჯამში 12 კრედიტის მოცულობით.
პროგრამა ასევე მოიცავს შემაჯამებელი გამოცდის სემინარს (5 ECTS კრედიტი); სწავლება-ასისტენტობის კომპონენტს (5 ECTS კრედიტი) და კვლევით კომპონენტს (120 ECTS კრედიტი).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• სააპლიკაციო ფორმა • მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან • მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება ან 3.7-ზე მეტი GPA სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერ სპეციალობაზე • პირადი რეზიუმე • ორი სარეკომენდაციო წერილი • სამოტივაციო წერილი • ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის არ ქონის შემთხვევაში ინიშნება გამოცდა) • კავკასიის ბიზნესის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა

პროგრამის მიზანი	პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი დოქტორების მომზადებას, ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნასა და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კავკასიის ბიზნესის სკოლის სადოქტორო პროგრამის მიზანია თეორული საფუძველი შეუქმნას შესაბამისი სპეციალობის მქონე პიროვნებას, განუვითაროს სასწავლო-სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მისცეს დარგისთვის აუცილებელი ცოდნა. სტუდენტებს მოცემული პროგრამით საშუალება აქვთ მიიღონ, როგორც თეორიული ცოდნა ასევე ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებლია მათი მომავალი წარმატებული სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისათვის. დღევანდელ აკადემიურ გარემოში, არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა გამოიყენოს თანამედროვე კვლევითი მეთოდები ცოდნის შექმნაში და საუკეთესო სწავლების მეთოდები ცოდნის გადაცემის პროცესში. პროგრამით მიღებული განათლება იქნება წარმატების საფუძველი შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე და მისცემს კურსდამთავრებულს ფართო შესაძლებლობებს მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი.
პროგრამის სწავლის შედეგი	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ბიზნესის ადმინისტრირების დარგის სიღრმისეული, სისტემური ცოდნა და სათანადო უნარ-ჩვევები. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები და მათთან თანხვედრილი

	დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევები: I. ცოდნა და გაცნობიერება უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება. 1. სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულად ანალიზის უნარი 2. ბიზნეს-გარემოში შემავალი ინსტიტუტების ანალიზის უნარი 3. მენეჯმენტის თეორიის საწყისებისა და მისი განვითარების გზების შესწავლა II. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. 1. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ინოვატორული მეთოდების შესწავლა-გამოყენების უნარი 2. დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარი 3. ორგანიზაციული ქცევის გამომწვევ ცვლადებს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა და ანალიზი 4. სფეროსათვის რელევანტური სამეცნოერო კვლევის განხორციელება 5. მენეჯმენტის კონცეფციების გამოყენება ბიზნეს-პრაქტიკაში III. დასკვნის გაკეთების უნარი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. 1. მონაცემების ანალიზისა და სინთეზის უნარი 2. სტრატეგიული დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების უნარი 3. კოგნიტური უნარები 4. დარგში არსებული თეორიების სინთეზის უნარი IV. კომუნიკაციის უნარი ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა. 1. კვლევითი ჯგუფის წევრად მუშაობის უნარი 2. სწავლებისა და პედაგოგიური უნარები 3. ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება 4. სამეცნიერო ნაშრომების შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზების უნარი V. სწავლის უნარი უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში 1. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ინოვატორული მეთოდების შესწავლა-გამოყენების უნარი 2. სამეცნიერო ნაშრომების მომზადება და მათი გამოქვეყნება

	3. ფართო სპექტრის ბიზნეს კვლევების წარმოების უნარი 4. მენეჯმენტის სფეროში არსებული მოდელების შესწავლა, კრიტიკული შეფასება და გამოყენება სამეცნიერო მუშაობაში VI. ღირებულებები ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება 1. ეთიკური სტანდარტების გათვითცნობიერების, შესწავლის, სწავლების, დამკვიდრებისა და სამეცნიერო სამუშაოში გამოყენების უნარი 2. ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გათვითცნობიერების, შესწავლის, სწავლების, დამკვიდრებისა და სამეცნიერო სამუშაოში გამოყენების უნარი
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს შემდეგი მიმართულებებით: • საგანმანათლებლო დაწესებულებები • სამეცნირო და კვლევითი დაწესებულებები • ანალიტიკური კვლევითი ცენტრები • მენეჯმენტ კონსალტინგური კომპანიები • სახელმწიფო და კერძო სექტორის ანალიზის, კვლევის, პროგნოზირების დეპარტამენტები • კერძო კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯმენტის პოზიციები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

- დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- ყოველკვირეულ შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, სიტუაციის ანალიზი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სადოქტორო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insuficient) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
დისერტაცია დაცულად ითვლება, „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში და დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი ☒ სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი

☒ დამოუკიდებელი მუშაობა ☒ სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
სწავლების მეთოდოლოგია	სწავლების მეთოდოლოგიის კურსში მოცემულია დეტალური, პრაქტიკული ინსტრუქციები დოქტორანტისთვის, რომელიც მას საშუალებას მისცემს სრულყოფილად დაეუფლოს აკადემიაში სწავლების მეთოდებსა და აუდიტორიასთან მუშაობის ხელოვნებას.	სავალდებულო	2	I
აკადემიური წერა	აკადემიური წერის სტილი მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, რათა მან წარმატებით გაიაროს სადოქტორო პროგრამა, და შეძლოს უმაღლეს სამეცნიერო დონეზე სხავდასხვა აკადემიური სტილების გამოყენებით დაწეროს სტატიები და წარმოადგინოს კვლევის შედეგები. აღნიშნილი კურსი ეხმარება სტუდენტს განივითაროს მოხსენებების, ანგარიშების, თეზისების, სტატიების და წიგნის წერის უნარი.	სავალდებულო	6	I
ორგანიზაციული ქცევა (OB)	ორგანიზაციული ქცევის სემინარის მიზანია მოამზადოს თეორეთიკოსი, მკვლევარი და პრაქტიკოსი, ეფექტური ორგანიზაციული ცოდნის გააზრებისა და განვითარების შესაძლებლობებით. საგანი შეისწავლის ორგანიზაციის მიკრო და მაკრო გარემოს. ორგანიზაციებში ინდივიდების, ჯგუფებისა და მაკრო ერთეულების შეხედულებებს, დამოკიდებულებებსა და ქცევას.	სავალდებულო	6	II
ორგანიზაციული თეორია	ორგანიზაციული თეორიის სემინარი შექმნილია იმისათვის, რომ მისცეს მკვლევარს ეფექტური ორგანიზაციის შექმნის, შეცვლისა და ფუნქციონირების ყოვლისმომცველი ანალიზის უნარი. სემინარი ფოკუსირდება ანალიზზე, დაგეგმარებაზე, დანერგვაზე, ორგანიზაციის სოციალური და ტექნიკური სისტემის შეფასებაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობას, რათა გააუმჯობესებულ იქნას და შეინარჩუნდეს სამუშაო სტილი, ხარისხი და პროდუქტიულობა.	არჩევითი	6	III
ლიდერობა	საგანი სწავლობს ინდივიდის ქცევას ორგანიზაციაში ლიდერის კუთხით. პირველი ნაწილი დათმობილია ისეთ ძირეულ საკითხებზე როგორიცაა: ლიდერის ეფექტურობის მნიშვნელობა და საზოგადოებასა და ორგანიზაციებში ცვლილებისათვის საჭირო ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. საგნის თემატიკა მოიცავს ორგანიზაცოული ქცევის მრავალფეროვნებას, ინდივიდის	არჩევითი	6	III

	შეხედულებებს, მოტივაციას, ინდივიდუალურ განსხვავებულობას, კულტურას, ეთიკას, ძალაუფლებას, კონფლიქტის მართვას და სხვა. ყოველივე ზემოთხსენებულის და მენეჯმენტის სხვა ფუნდამენტური საკითხების შესწავლა დაეყრდნობა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მეთოდს, ზუსტ მეცნიერულად დასაბუთებულ ემპირიულ კვლევებსა და ფსიქოლოგიაში და მენეჯმენტში არსებულ ფართო ცოდნას. თემატიკა შესწავლილ იქნება კონკრეტული მაგალითებიდან ფართო აბსტრაქტული აზრის გათვალისწინებით, რომელიც გამომდნარეობს მეცნიერული კვლევიდან და მენეჯერებს ეხმარება სამსახურეობრივი გამოწვევების გადაჭრაში.			
სტრატეგიული მენეჯმენტი	კურსი აცნობს სტუდენტს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების კომპლექსურ ასპექტებს. განიხილება ორგანიზაციის მართვის როგორც ტაქტიკური ისევე სტრატეგიული გადაწყვეტილებები. სხვადასხვა სტრატეგიული მენეჯმენტის მოდელებთან ერთად, სტრატეგიული უპირატესობები და ორგანიზაციის ძირეული ღირებულებები როგორც კონკურენტული უპირატესობის წყარო წამოადგენს სემინარის მთავარ ხაზს.	სავალდებულო	6	IV
სტატისტიკის თეორია	მოცემული კურსის მიზანია მოამზადოს სტუდენტი რათა ნამდვილი კვლევიდან მიღებული მონაცემების ანალიზით კონცეპტუალურ დონეზე გაიგოს ანალიზის შედეგები. ყურადღება გამახვილდება კონცეფციებზე და კომპიუტერის მეშვეობით მონაცემების ანალიზზე. მნიშვნელობა ენიჭება კვლევითი პრობლემებისათვის სტატისტიკური მოდელების გამოყენებას.	სავალდებულო	6	I
გამოყენებითი რეგრესია	რეგრესიის ანალიზი არის ფართოდ გავრცელებული ანალიტიკური მეთოდი. ერთ-ერთი სიძლიერე რეგრესიის ანალიზის არის მისი კონცეპტუალური სიმარტივე განტოლების გამოყენების რათა აისახოს ურთიერთობა დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის. ერთ-ერთი სისუსტე კი არის ის რომ მკვლევარმა უნდა გაითავისოს რომ კორელაცია არ განაპირობებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. ამ კურსის ძირითად მიზანს წარმოადგენს დოქტურანტურის სტუდენტებისათვის რეგრესიის მეთოდის გამოყენებითი მხარის დანახება.	სავალდებულო	6	II
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	კურსი გადასცემს დოქტორანტებს მონაცმების შეგროვებისა და ანალიზის რაოდენობრივ მეთოდებს. იგი გათვლილია ისე, რომ სტუდენტმა ინდივიდუალურად შეძლოს რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. კურსის დასაწყისში მიწოდებული იქნება თეორიული საფუძვლები. დამსწრეები	არჩევითი	6	III

	გაივლიან რაოდენობივი კვლევის მთლიან პროცესს. აგრეთვე კურსის დროს მოხდება თითოეული დოქტორანტის კვლევითი პროექტის განხილვა.			
ხარისხობრივი კვლევის მეთოდები	კურსი ამცნობს დოქტორანტებს მონაცმების შეგროვებისა და ანალიზის ხარისხობრივ მეთოდებს. იგი გათვლილია ისე, რომ სტუდენტმა ინდივიდუალურად შეძლოს, როგორც ხარისხობრივი, ასევე ინტეგრირებული კვლევის ჩატარება. კურსის დასაწყისში მიწოდებული იქნება თეორიული საფუძვლები. დამსწრეები გაივლიან ხარისხობრივი კვლევის მთლიან პროცესს. აგრეთვე კურსის დროს მოხდება თითოეული დოქტორანტის კვლევის დროს წარმოშობილი პრობლემებისა თუ შეკითხვების განხილვა.	არჩევითი	6	III
მრავალცვლადიან მონაცემთა ანალიზი	კურსი გადასცემს დოქტორანტს მონაცმების შეგროვებისა და ანალიზის რაოდენობრივ მეთოდებს. იგი გათვლილია ისე, რომ სტუდენტმა ინდივიდუალურად შეძლოს უმაღლესი დონის რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. მთავარი აქცენტი გაკეთდება სტატისტიკური პროგრამების დახმარებით მონაცემების ინდივიდუალურ დამუშავებაზე ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს ორგანიზაციის კომპლექსური ნიუანსები და კვლევის შედეგების დასაბუთებისა და განზოგადების მექანიზმები.	სავალდებულო	6	IV
სწავლება და ასისტენტობა	სადოქტორო პროგრამის სტუდენტი პირველი აკადემიური წლის პირველ სემესტრში იღრმავებს ცოდნას სწავლების მეთოდოლოგიაში. დოქტორანტი მეორე აკადემიური წლის პირველი სემესტრიდან მეოთხე აკადემიური წლის მეორე სემესტრის ჩათვლით ასწავლის უნივერსიტეტში და ასისტენტობას უწევს პროფესორს მისი მიმართულების შესაბამისად.	სავალდებულო	5	V
შემაჯამებელი გამოცდის მოსამზადებელი სემინარი	მესამე აკადემიური წლის დასაწყისში დოქტორანტურის სტუდენტი ესწრება შემაჯამებელი გამოცდის სემინარს. სემინარის განმავლობაში მოხდება პროგრამის მსვლელობისას მიღებული ცოდნის სინთეზური ანალიზი.	სავალდებულო	5	V
დისერტაციის მომზადება და დაცვა	მეოთხე აკადემიური წლის ბოლოს დოქტორანტურის სტუდენტი გადის სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე. სადოქტორო პროგრამის სტუდენტი დისერტაციას იცავს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წინაშე პრეზენტაციის საფუძველზე, რომლის ხანგრძლივობა ორივე მხარეს შორის შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრება. სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს დასრულებული აკადემიური დოკუმენტი, რომელიც ასახავს მკვლევარის მიზნებს, შეხედულებებს სფეროს შესახებ და თავის თავში მოიცავს მოცემული მეცნიერული ხაზის განვითარების მკაფიო ანალიზს.	სავალდებულო	120	VI-VIII